

საქართველო და დიჯიტალიზაცია

ბევრს სმენია სიტყვა დიჯიტალიზაცია და ხვდება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ის ყოველდღიურ ცხოვრებაში. შედარებით რთული დასანახია რა გავლენა მოახდინა მან საქართველოზე, განსაკუთრებით ბოლო წლების მანძილზე.

ყველაზე შესამჩნევი ცვლილება სამუშაო პლატფორმებისა და მომხარებელთან დაკავშირების ხერხების მოდერნიზებამ და დიჯიტალიზაციამ გამოიწვია მომსახურების სფეროში. ერთი შეხედვით, ვებ-გვერდებისა და ონლაინ სერვისების რაოდენობის სწრაფი ზრდა ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ქვეყნისთვის. თუმცა, ყველა შემთხვევას, მათ შორის საქართველოსაც, გამორჩეული თავისებურებები გააჩნია. ავიღოთ სოციალური ქსელების მოხმარების დონე: რთული წარმოსადგენია, მაგრამ Facebook საქართველოში ბევრად პოპულარულია ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ინტერნეტ-მომხარებლების მხოლოდ 43% იყენებს ზემოხსენებულ საიტს, საქართველოში კი დაახლოებით 80%¹. ასეთი მკვეთრი სხვაობის ახსნა შესაძლებელია იმით, რომ აშშ-ში პოპულარულია სხვა სოციალური პლატფორმები (Twitter, Snapchat), რომლებმაც, გარკვეული მიზეზების გამო, ჯერ ვერ ჰპოვეს ფართო პოპულარობა ქართველ ინტერნეტ-მომხმარებლებში. კომპანიები კი არსებულ სიტუაციას თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ. ქართული ვებ-გვერდის წარმატებისთვის აუცილებელია Facebook-ის პლატფორმაზე თვალში მოსახვედრი რეკლამების განთავსება და გვერდის შექმნა, რომელზეც ახალი პოსტი ყოველ რამდენიმე საათში ერთხელ იდება. საშუალოდ 20 ყველაზე პოპულარული ქართული საიტის ვიზიტორების 16% სწორედაც რომ Facebook-იდან მოდის, ზოგიერთ შემთხვევაში ეს რიცხვი 65%-საც კი აჭარბებს².


ონლაინ-კომპანიების წარმატებაში ასევე დიდ როლს თამაშობს საძიებო სისტემები, როგორებიცაა Google, Bing, Yahoo და სხვ. თუმცა, ცნობილი ხუმრობის თანახმად, გვამის საუკეთესო დასამალი ადგილი Google-ის ძიების შედეგების მეორე გვერდია, რადგანაც იქ მხოლოდ მომხარებლების 10% გადადის.³ იმისათვის, რომ კომპანიის საიტის მისამართი მეორე გვერდზე დამალული გვამების გვერდით არ აღმოჩნდეს, საჭიროა ვებ-გვერდის სწორად აწყობა Google-ის ალგორითმების მიხედვით, რომლებიც საკმაოდ ხშირად იცვლება. პროცესი საკმაოდ გრძელვადიანი და ძვირადღირებულია.

¹ <https://www.internetworldstats.com> (2017 data)

² <https://www.semrush.com/> (Live data 2018 July)

³ <https://searchenginewatch.com/sew/study/2276184/no-1-position-in-google-gets-33-of-search-traffic-study>

მომხარებლების რაოდენობა:



ნახ. 1 20 პუპულარული ქართული საიტის მომხარებლების გადანაწილება⁴

კერძო სექტორის ახალი მიდგომა არამარტო შემოსავლებს ზრდის, არამედ ქმნის ათასობით ახალ სამუშაო ადგილს და ზრდის ეკონომიკის ციფრულ სექტორს. ინვესტიციები ამ მიმართულებით წარმოუდგენელ თანხებს აღწევს და ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, იდეალური შანსია ეკონომიკის ზრდის მთავარი ლოკომოტივი სწორედაც რომ ციფრული ეკონომიკა გახადოს. განვითარებულ ქვეყნებში ეს სფერო ყოველწლიურად საშუალოდ 8%-ით იზრდება, განვითარებადში კი 18%-ით.⁵ ზრდის ასეთი ტემპის შენარჩუნებისთვის აუცილებელია ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება, ეფექტური კანონმდებლობის შექმნა/შენარჩუნება და ამ სფეროში ინვესტირება.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ციფრულ ეკონომიკაში ინტეგრირების მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია. მაგალითად, საკმაოდ მაღალია მოსახლეობის წვდომა ინტერნეტზე - 70.7%⁶; უნაღდო ანგარიშსწორების 61% ონლაინ ბანკის/მობილური აპლიკაციების მეშვეობით სრულდება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ პლასტიკური ბარათებითა და სხვა მსგავსი საშუალებებით გადახდა საერთო გადახდების მხოლოდ 15%-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც შვედეთში ეს რიცხვი 4-ჯერ მაღალია. უნაღდო ანგარიშსწორება ვაჭრობას არა მხოლოდ უფრო მოსახერხებელს და ეფექტურს ხდის, არამედ უზრუნველყოფს ეკონომიკის გამჭირვალობას და შავი ბაზრის აღმოსაფხვრელად საუკეთესო საშუალებაა.⁷

ბოლო დროის დიჯიტალიზაციის ყველაზე საკამათო და პოპულარული თემა ბლოკჩეინ ტექნოლოგია, კერძოდ კი - კრიპტოვალუტებია. ამ უკანაქსნელთაგან ყველაზე პოპულარული - ბიტკოინი - ბოლო წლების განმავლობაში მთელი სამყაროს ყურადღების

⁴ 20 ყველაზე მონახული ქართული საიტი 2018 წილს ივლისისთვის, ინფორმაცია Semrush, Similarweb, Exponea- დან.

⁵ World Economic Forum Report 2014 – Delivering Digital Infrastructure

⁶ ECOSYSTEM OF DIGITAL ECONOMY IN GEORGIA

⁷ Ecosystem of Digital Economy in Georgia by Rati Abuladze, 2017.

ცენტრში მოექცა. და ბიტკოინით როგორც ვაჭრობა, ასევე მისი მოპოვება (მაინინგი) გამდიდრების საკმაოდ მიმიზდველ გზად იქცა. იმის გათვალისწინებით, რომ დროთა განმავლობაში მაინინგისთვის საჭირო კომპიუტერული სიმძლავრეები მნიშვნელოვნად გაიზარდა და თუ ადრე მაინინგი ჩვეულებრივი კომპიუტერის მეშვეობითაც იყო შესაძლებელი, დღეს ამ მიზნისთვის უკვე სპეციალურ მოწყობილობებს (ASIC - Application-Specific Integrated Circuit) იყენებენ, რომლებიც საკმაოდ ბევრ ენერჯიას მოიხმარს, დღეს მაინინგისთვის ყველაზე მსხვილ ხარჯს ელექტროენერჯია წარმოადგენს. 2014 წელს ერთ-ერთმა მაინინგ კომპანიამ, სახელად Bitfury გორში მაინინგ ცენტრი გახსნა, რომელსაც 1 წლის თავზე დაემატა ორმაგად ძლიერი ცენტრი გლდანში.⁸ Bitfury ჩინეთს გარეთ ბიტკოინის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომპოვებელი კომპანიაა, და ამდენად, 2018 წლის ივნისისთვის საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებდა ბიტკოინის მაინინგში - მსოფლიოში ბიტკოინების 15%-ის მაინინგი სწორედ ჩვენთან ხდება.⁹ ერთი შეხედვით ასეთი მასობრივი დაწესებულებების არსებობა ეკონომიკურ ზრდას ხელს უნდა უწყობდეს, თუმცა რეალური მაგალითების მონახვა რთულია. ზემოთნახსენები ტიპის კომპანიები სამუშაო ადგილებს იშვიათად ქმნიან და დანარჩენ სექტორებზეც მცირე ზეგავლენა აქვთ. ამ ეტაპზე ბლოქჩეინის პოტენციალი ჯერ კიდევ უცნობია, რადგანაც მას მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის მთავრობა თუ იყენებს¹⁰, ის შესაძლოა ეკონომიკური ზრდის მთავარი ფუნდამენტი გახდეს, ან უბრალოდ, მაღალი ხარჯებიდან გამომდინარე, ძვირადღირებულ და არაეფექტურ ტექნოლოგიად ჩაითვალოს.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიჯიტალიზაცია არ არის და ვერც იქნება ყველასთვის სასურველი პროცესი: ახალი იდეებითა და ტექნოლოგიებით აღსავსე კომპანიები ტრადიციულ ბიზნესებს ჩაანაცვლებენ. ეს ეფექტი განვითარებულ ქვეყნებში უკეთ შეინიშნება. საუკეთესო მაგალითები ამერიკის შეერთებულ შტატებშია, სადაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ონლაინ მედია კომპანია Netflix სატელევიზიო არხებს საფრთხეს უქმნის.¹¹ საქართველოში ასეთი ტენდენცია არ შეიმჩნევა. ამერიკულ მაღაზიებს და სავაჭრო დაწესებულებებს უჭირთ კონკურენციის გაწევა ცნობილ ონლაინ რითეილერთან - Amazon-თან.¹² სატრანსპორტო სერვისი UBER კი სატაქსო სფეროს ანადგურებს.¹³ ციფრული ეკონომიკის განვითარება საქართველოს ბაზარზეც არანაკლებ ზეგავლენას იქონიებს და, როგორც დასავლეთ ქვეყნებში, შესაძლოა დროებითი უმუშევრობის გაზრდა გამოიწვიოს, თუმცა დიჯიტალიზაციის პოტენციალი მის ხარჯებს, ყველა სხვა ქვეყნის მაგალითის მიხედვით, აღემატება.

⁸ <https://www.npr.org> How the tiny nation of Georgia became a Bitcoin Behemoth (April 23, 2018) and <https://en.bitcoinwiki.org/wiki/Bitfury>

⁹ <https://cryptomode.com/these-are-the-top-countries-for-bitcoin-mining/>

¹⁰ <https://blockchaincan.com/blockchain-government-use-cases>

¹¹ Bloomberg – Netflix loving kids are killing cable TV; April 25, 2018.

¹² <https://www.marketwatch.com> – Amazon is going to kill more American jobs than China did, March 15, 2017.

¹³ <https://www.forbes.com> – Dislocation and its discontents: Ride – Sharing’s impact on the taxi industry, June 8, 2018.